საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 19?3 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 48 (6594) 23 დეკემბერი ხუთშაბათი 1993 წელი

გამოიწერეთ «ლეჩხუმი»

დღეს, როცა ყველაფერი ასე გართულდა, ჩვენი ცხოვრება ისე აეწყო, რომ გადაადგილება გაძნელებულია და უსაშველოდ გაძვირებულია, სულ რომ არ გამოეთიშოთ ამ ცხოვრებას და გარკვეთ ყოველდღიურ ორომტრიალში, საჭირო და აუცილებელია ინფორმაცია. მას ჩვენი გაზეთი მოგაწვდით. იგი ყველა ოჯახის სასურველი სტუმარი უნდა იყოს.

„ლეჩხუმზე" ხელმოწერა 6 თვით 10 ათასი კუპონი ღირს. რას იზამთ, აუცილებლობა გვაიძულებს. ბევრს შეიძლება ძვირადაც მოეჩვენოს. რა შეიძლება იყიდოთ ამ ფასად, როცა კილოგრამი ლობიო 25 ათას კუპონად იყიდება, კილოგრამი ვაშლი კი—20 ათასად.

შეგახსენებთ, რომ გაზეთ „ლეჩხუმის" გამოწერა შეიძლება რედაქციაში, თუ ჩვენთან მოსვლას ვერ ახერხებთ, თქვენს უახლოეს საფოსტო განყოფილებას მიაკითხეთ.

ლეჩხუმლებო, ნუ დარჩებით „ლეჩხუმის" გარეშე.

ვეძებთ სპონსორს

გვიმძიმს, მაგრამ უნდა ჩავახედოთ ჩვენს გასაჭირში

ძვირფასო მკითხველო! წუწუნი რა საკადრისია, მაგრამ არც ის შეიძლება არ გითხრათ, რა დიდის წვალებითა და ჯახირით ვახერხებთ გაზეთის თითოეული ნომრის გამოშვებასა და თქვენამდე მოსვლას, თუმც ისიც ვიცით, „ლეჩხუმის" არაერთი ნომერი ჩვენდა სამწუხაროდ, და ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებით თქვენამდე ვერ აღწევს და გულნატკენი ხართ.

მართლაც არ გვჩვევია წუწუნი, მაგრამ დღეს დიდი ყოყმანისა და ფიქრის შემდეგ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ჩაგახედოთ ჩვენს გასაჭირში, რამეთუ ადამიანთა თანადგომისა და მხარდაჭერის გა[რ]ეშე არ არსებობს არანაირი სამსახური და სფერო, მით უფრო დღეს, ამ გაუსაძლის ყოფაში.

ბევრი რესპუბლიკური გაზეთი თუ ჟურნალი დაიხურა, ვინც ჯერჯერობით ისევ არსებობს, არსებობს სპონსორების წყალობით.

ერთი სიტყვით გაუეუილს გატეხილი სჯობს—ჩვენც ვეძებთ სპონსორს. გვესმის, რომ დღეს ყველას უჭირს, მაგრამ ისიც ვიცით, რომ არის არა ერთი ორგანიზაცია, ფირმა, კოოპერატივი თუ კონცერნი, რომელთაც აქვთ საშუალება, და ღმერთმა მისცეთ, გაიღონ კეთილი საქმისთვის, გაიღონ იმისთვის, რომ რაიონული გაზეთი, რომელიც ლეჩხუმელ მშრომელთა ინტერესებს ემსახურება, არ დაიხუროს და გააგრძელოს არსებობა.

უნდა შეგახსენოთ, რომ არანაირი დაფინანსება სახელმწიფოსაგან, არანაირი ოფიციალური დახმარება არ გაგვაჩნია. ადრეც გვითქვამს—ისე გაძვირდა სასტამბო, ელექტროენერგიის, ქაღალდის ხარჯები, რომ ჩვენი მცირეოდენი შემოსავალი რას გაწვდება, ამიტომ თუ კი ჩვენი გაზეთი საჭიროა რაიონისა და მისი მკითხველისათვის, მოდით, ერთად ვიფიქროთ, არ დაიხუროს იგი. საქველმოქმედო ბევრი რამ ხორციელდება დღეს, მოგეზრდათ, დაილალეთ კიდეც, მაგრამ გაზეთსაც ახლა უნდა შველა. ჩვენთვის მუშაობის სპეციფიკის გამო ნათელია ორგანიზაცია—კოოპერატივების სიგრძე—სიგანე და ფინანსური მდგომარეობა. გაღებული თანხა ბევრად არ დააზარალებს თქვენს ჯულაბას, სამაგიეროდ, ეს იქნება თქვენი მოქალაქეობრივი ღირსების პატრიოტული მოვალეობისა და შეგნების საქმე, რომ რაიონული ინფორმაციის ერთ-ერთი წყარო გაზეთი „ლეჩხუმი" და მისი კოლექტივი კვლავაც იდგეს საზოგადოებრივი ინტერესების სამსახურში.

მაშ ასე, ძვირფასო მეგობრებო, გვიმძიმდა, მაგრამ ჩვენ უკვე გითხარით ჩვენი სათქმელი. აწ საქმე თქვენზეა, თქვენს საქმიან, მორალურ მხარდაჭერაზე. ახლა გამოჩნდება ვინ არის გაზეთის ჭეშმარიტი გულშემატკივარი და ერთგული, ვისთვის არ არის სულერთი მისი ავ—კარგი და ხვალინდელი დღე.

წინ კვლავ ძნელი გზაა სავალი. ამ გზასავალზე გაზეთის კოლექტივს განწყობაც სათანადო სჭირდება და ფინანსური საშუალებაც.

ველით თქვენს შეხმიანებას. **შეგახსენებთ ჩვენი ანგარიშის ნომერს: 38904. ტელეფონი 22—31 გაზეთ „ლეჩხუმის" რედაქცია.**

რაიონის პროკურატურაში

დღეს კრიმინოგენური მდგომარეობა მეტად გამწვავდა რაიონში, დღე არ გავა, სისხლ[ი]ს სამართლის დანაშაული—ბანდიტობა, ყაჩაღობა, ქურდობა თუ სხვა, არ მოხდეს ქალაქსა თუ სოფლე[ბში]. ყოველივე ეს დესტაბილიზაციისაკენ მიგვაქანებს. ადამიანებს რწმენა ეკარგებათ, რადგან მომხდარ დანაშაულთა მეტი წილი გაუხსნელია, დამნაშავენი დღისით, მზისით დაუსჯელად დადიან.

ამ საკითხებს მიეძღვნა რაიონის პროკურატურაში გამართული რაიონის გადაღმა ზონის სასოფლო საკრებულოთა გამგებლებთან და შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკებთან შეხვედრა.

შეხვედრაზე რაიონში არსებული კრიმინოგენური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა რაიონის პროკურორმა ავთანდილ მაღრაძემ.

აზრი გამოთქვეს ალპანის, ორბელის, უსახელოს, ნაკურალეშის, ლაილაშის საკრებულოთა გამგებლებმა თენგიზ ბურჯალიანმა, ჯონი ბურჯალიანმა, ავთანდილ თვარაძემ, მერაბ ჩიქოვანმა, ალეკო თვარაძემ.

აღინიშნა, რომ რაიონში უკანასკნელ პერიოდში მეტად დაიძაბა კრიმინოგენური მდგომარეობა, სისტემატურად ხდება ყაჩაღობა, ძარცვა, ქურდობა თუ სხვა დანაშაულობანი. დასახელდა ფაქტები. ამას წინათ დააყაჩაღეს სოფელ ალპანაში გ. ფრუიძის ოჯახი, საიდანაც წაიღეს მსუბუქი ავტომანქანები, საოჯახო ნივთები, ასევე დააყაჩაღეს ორბელში სვანიძეების, ბახსოლიანების, სპათაგორში გიორგობიანების და სხვათა ოჯახები, ლაილაშის საკრებულოს ტერიტორიაზე დაკეტილი სახლების თითქმის 90 პროცენტი გატეხილ—გაქურდულია. სისტემატური ხასიათი მიიღო პირუტყვის და ღორების ქურდობამ.

ხაზი გაესვა იმას, რომ მომხდარ ზოგიერთ დანაშაულზე აღძრული არ არის საქმე იმის გამო, რომ დაზარალებული ოჯახები თავს იკავებენ გაცხადებაზე, დღესდღეობით ადმინისტრაციულ ორგანოებს, განსაკუთრებით პოლიციას უჭირს დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლა იმის გამო, რომ საკმარისი არ არის კადრები, მატერიალურ[ი] საშუალებანი, ტრანსპორტი, დღემდე არ მოხერხდა რაიონის შემოსასვლელ—გასასვლელების პიკეტირება. საზოგადოებრიობა, აქტივი არ არიან ჩაბმული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში. მოითხოვეს მილიციის ძალების გაძლიერება ლაჯანურ—რიონის ხეობის სოფლებში, უმოკლეს ვადაში უნდა ჩატარდეს სოფლის ყრილობები საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე, ხოლო უბნის ინსპექტორებმა გააძლიერონ მუშაობა მათ სამოქმედო ზონაში.

პრობლემა

სანამდე გაგვიძლებს ნერვები

მკვდარია ჩვენი პატარა და საღლაა ჩვენი შუბლგახსნილი მკერავები. თითო ოროლას თუ წააწყდები, რა ქნან, რა გააჩერებთ გაყინულ შენობაში, რა შეკერონ, რით შეკერონ, ან რა ფასად.

ქალაქი. ქუჩაში აქა—იქ შეჯგუფებული ადამიანებისაგან ლანძღვა—წუწუნს, გულისტკივილს თუ გაიგონებ დღევანდელობაზე, ძარცვა—გლეჯა—ყაჩაღობაზე, პოლიტიკაზე...

საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები დღეს ისეა საჭირო, როგორც არასდროს. ჩემოდნებიდან ძველმანები ამოვქექეთ და ზოგს რად ვიყენებთ და ზოგს რად. აბა, ახლის შეძენაზე ხელფასზე მცხოვრები ადამიანისათვის ზედმეტია ლაპარაკი.

შედიხარ სამკერვალოში

—ხვები სად არიან?

—სახლებში. თითო—ოროლა დავდივართ მორიგეობით. იმდენად ძვირი ჯდება ელექტროენერგია, შენობა, ძაფი და სხვა, რომ ამათი გაანგარიშებით კლიენტისაგან აღება არაფრით არ შეიძლება, ჰოდა ზარალისათვის ვინ ივლის. პროფესიის სიყვარული და ადამიანთა წინაშე მოვალეობა თუ გვაიძულებს ვიაროთ ხანდახან, თორემ ნამდვილად არ ღირს მუშაობა.

—ამ ერთ „კოჭა" ძაფში 120 ათასი კუპონი გადავიხადე, ეს ცოტა ადრე, ახლა ქუთაისში ჩასვლა—ამოსვლა ვიანგარიშოთ, მითხარით, რა უნდა გადავახდევინო კლიენტს ამის შემდეგ.

ფეხსაცმლის შემკეთებელი:

რა ვქნა, გაკერვის გარდა ვერაფრით ვერ მოგემსახურებით. არ მეშოვება წებო, „პადოში", რეზინი. კიდეც რომ წავიდე წყალტუბო—ქუთაისში, ვერ ვიშოვი, თუ ვიშოვე, რა საშუალებით უნდა ვიყიდო. რამდენჯერ გაგვიტეხეს სახელოსნოები, გაგვცალეს, მახათიც არ შეგვარჩინეს. მითხარით, შეიძლება ამ პირობებში მუშაობა?

რამდენიმე სახელოსნო საერთოდ დაიხურა.

დადიხარ მკვდარ ქალაქში, სახელმწიფო სავაჭრო ობიექტები ფაქტიურად აღარ მუშაობენ, კომერციულ სტრუქტურებში შესვლისას შეიძლება მხოლოდ ინფარქტი შეიძინო და მიუყვები გზას ნერვებდაწყვეტილი, ფეხსაცმელს რეზინს ვერ დააკერებ, ასანთს ვერ იყიდი, ბაზარში შენი ხელფასით ნახევარ კილოგრამ ხორცს ვერ შესწვდები.

რა ქვია ამას, სად ვცხოვრობთ, გვყავს კი პატრონი, ფიქრობს კი ვინმე ჩვენზე?

დემოგრაფია.-

ჯიუტი ციფრების მიღმა

წუხელ ტყუპები დაბადებულან ...

ომი, შიმშილი, უსახლკარობა, ნგრევა, ქალაქებისა და სოფლების მასირებული დაბომბვა რომ გავლენას ახდენს დემოგრაფიაზე, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. მაგრამ მაინც გადავხედოთ სტატისტიკას ამ ახალი წლის მოლოდინში. იქნებ საიმედოდ შეიცვალოს ყველაფერი, იქნებ ისე შეიცვალოს საქართველოს სულიერი მდგომარეობა, რომ მხოლოდ გამრავლებაზე, დემოგრაფიაზე ფიქრის მეტი არა დაგვრჩეს საზრუნავი. 1993 წლის იანვარში ჩვენს რაიონში დაიბადა 11, გარდაიცვალა 21, თებერვალში დაბადებულია 17, გარდაცვლილი 29, მარტში დაიბადა 15, 29 კი გარდაიცვალა, აპრილში 7—ია დაბადებული, 21 გარდაცვლილი, მათ შორის 1 წლამდე ბავშვია გარდაცვლილი, მაისში 10 დაიბადა, 27 გარდაიცვალა, ივნისში 15 დაიბადა, 25 გარდაიცვალა, ივლისში 17 დაიბადა, 25 გარდაიცვალა, აგვისტოში 22—ია დაბადებული, 26 გარდაცვლილი, სექტემბერში 13 დაბადებულია, 46 გარდაცვლილი, ოქტომბერში 10 დაიბადა, 18 გარდაცვლილია ნოემბერში 16 დაბადებულია, 43 გარდაცვლილი. სულ 1993 წლის 11 თვეში დაბადებულია 166, გარდაცვლილია 311.

რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ წინა 1992 წელს: დაიბადა 196, გარდაიცვალა 280. აი, ციფრები, რასაც რაიონის საინფორმაციო განყოფილების სპეციალურ ფორმაში ვკითხულობთ.

* * * *

ამ ჯიუტი ციფრების მიღმა ისევ დაბადება, ისევ გამრავლება. გულში იმედის ნაპერწკალს ალვივებს რაისაავადმყოფოს სამშობიარო განყოფილების სარეგისტრაციო ჟურნალში ჩახედვა. მართალია დაბადებულთა საერთო რიცხვი მცირდება, მაინც იბადებიან, მაინც მოდიან.

...ეს რამდენი ყოფილხართ—ეს რამდენი გიორგი და მარიამი, ლევანი და თამარი, ლაშა და თორნიკე, ანა და მარი, ბექა და სოფიო... მოვლენილხართ ამ ქვეყანას, ეს რა უცნაური გრძნობის მოძალებაა. თქვენი სახელების ერთად თავმოყრა. ვიცი, გასაგები და სამწუხარო მიზეზების გამო ბევრად უფრო ცოტანი ვართ, ვიდრე ათი, ოცი თუ ოცდაათი წლის წინ, მაგრამ მაინც მიხარია, რომ ყველა გულბოროტი და ღვარძლით სავსე კაცის ჯინაზე მაინც იბადებით, მაინც მოდიხართ.

რომ იცოდეთ როგორ გვჭირდება თითოეული თქვენგანის მოსვლა, მოდით, ოღონდაც მოდით.

დამთავრდება წელი და კიდევ დავაჯამებთ ციფრებს, წიწილებივით დაგითვლით, ვიცი რომ სანამ წერილი დაიბეჭდება, სანამ ჩვენი გაზეთი გამოვა კიდევ დაიბადებით, კიდევ მოხვალთ, კიდევ მეტი იქნებით.

სასაცილოა, მე თქვენთვის უცხო და უცნობი ვზივარ და ვითვლი თქვენ სახელებს, თქვენ კი ამ დროს გონსაც ვერ მოსულხართ. მე კი იქნებ ბუმბერაზი მამულიშვილის სახელს, ამჯერად მხოლოდ სახელს ვიწერ, ა[illegible] იქნებ უბრალო, ალ[illegible] და [illegible]მელი ბიჭის სახელ[illegible], ან კიდევ საამაყო [illegible] ქალისა. ზოგი უკვ[illegible] თვეა თუ [illegible] ევლინ[illegible] ჩართული ხართ კიდეც ჩვენს არეულ ყოფაში. ზოგი კი ერთნაირი მუთაქებივით ჩაწკრივებულხართ პაწია საწოლებში.

ნოემბერ—დეკემბერში დაბადება გახშირდა, მეუბნებიან. აგერ ტყუპი გოგონებიც დაბადებულან. დეკემბერში ჯერჯერობით 7—ია დაბადებული. რა დიდი ციფრია 8 და 7—იო, იტყვის ზოგიერთი.

დიდია, აბა, რა არის. დარწმუნებული ვარ უფრო დიდი იქნება ხვალ, ზეგ, ახალ წლამდე 10 მაინც დაიბადება, 10 ლეჩხუმელი მიემატება საქართველოს, ეს ხომ ყველაზე ჯიუტი ციფრია.

გვჭირდება, ჰაერივით გვჭირდება თითოეული თქვენგანის მოსვლა.

მოდით, ოღონდაც მოდით... ჩემო პაწიებო.

ჯ. მანდარია.

ლტოლვილთა სახელით

აჭარაში

აფხაზეთის ომის ტრაგედია კვლავ გრძელდება. ასობით ათასი დევნილის ხსოვნიდან არ ქრება სვანეთის მთებში გამოვლილი გოლგოთის მწარე მოგონება. ამ უმძიმეს დღეებში მათ არაერთმა კეთილმა ადამიანმა გამოუწოდა დახმარების ხელი.

აფხაზეთის სვანეთის ულამაზესი დაბა ლათა დავტოვეთ, მოვდიოდით და თან მოგვყვებოდა მწარე ჭრილობა—სვანეთის გზაზე სახელდახელოდ მიწას მიბარებული იმ პატარა „გოლიათი“ ბიჭის საფლავი.

ვინ იყო ის? იქნებ მომავალი ფარნავაზი, ან დიდი დავითი, ჩვენი დაჩაგრული სამშობლოს შემწე და დამცველი.

ტრაქტორზე მიბმულ მანქანაზე მოვთავსდით. ტრაქტორი ქოშინ—ქოშინით დაიძრა, მანქანაც. ახალს ვერაფერს ვხედავ, ატირებული ბავშვები, დარდისგან გათანგული მშობლები, ბავშვებს შიათ. როგორც შეილოთ დააპურეს. უფროსებსაც რომ შიათ, მათი ჩაყვითლებული თვალები ადასტურებენ. გზა ძნელია, ტკივილით, ცრემლით, საშინელებით სავსე.

შევედით აჭარაში, პოეზიის აკვანს და არწივების ბუდეს რომ უწოდეენ. სასიხარულო აბა რა გვაქვს, მაგრამ უსაზღვრო ალტაცებაში მოგვიყვანა შავ ქსოვილზე თეთრად წარწერილმა სიტყვებმა; „ჩვენო მეზობლებო, შეშინებულებო და არა ლტოლვილებო შემობრძანდით კაფეში, მიირთვით ცხელი კერძები, თქვენთვის ყველაფერია“. სვანმა ბიჭებმა სპეციალურად ჩვენს დასახმარებლად რომ მოსულიყვნენ, მძღოლებს მიუთითეს სად გაეიერესიათ ავტომანქანები, თან გვითხრეს: „ხვალ საღამომდე დარჩებითო“. ბნელ ღამეში მშივრებს, გატანჯულებს, მათაც, ვისაც არ შეეძლო მანქანების ძარიდან გადმოსვლა, საჭმელი მოგვაწოდეს. მეც მათთან ერთად ვილუკმები. მაინტერესებს—ვისი თაოსნობით, ხელშეწყობით ხდება ყოველივე ეს. და ხის ჯამით რომ გადავკარი დალოცვილი სვანური რახი, ოფლად გაწურულმა მღვდელი ვიხმე და ყოველივე გამოვკითხე. გაუხარელმა გავიხარე, როცა შევიტყვე, ეს სიკეთე სოხუმში საყოველთაოდ ცნობილი ვაჟკაცის, აფხაზეთის სახელმწიფო დაზღვევის უფროსის ვალოდია პირველის თაოსნობით მომხდარა. მე თავად ვნახე იგი წებელდაში. სწორედ იმ ღამეს ასულა მამის ოჯახში აჭარაში და უთქვამს, თუ როდის ავაღწევდით მათ სოფლამდე. ოჯახის უფროსს შვიდწლიანი ხარი სოფლის ცენტრში მიუყვანია და ბიჭებისთვის უთხოვია, დაეკლათ და დევნილთათვის ცხელი საჭმელი მოემზადებიათ. იქვე მცხოვრები პოეტის ვახტანგ კორძაიას ოჯახიდან მოტანილი ორი ტომარა პურის ფქვილისაგან ცხელი ლავაშები დაეცხოთ.

ადგილობრივმა მცხოვრებლებმა საკუთარ ოჯახებში მიგვიპატიჟეს, დაგვამშვიდეს, დაგვაწყნარეს არავის არ უწოდებია ჩვენთვის „ლტოლვილი“, „დევნილი“. გვეუბნებოდნენ: „დამშვიდდით, საკუთარ სახლში მალე დაბრუნდებითო“.

ასე შეგვხვდა და პატივი გვცა ჩვენ, შეშინებულ მეზობლებს აჭარის მკვიდრებმა ვალოდია პირველის თაოსნობით.

• • •

ჩვენ ლეჩხუმისაკენ მოვეშურებოდით, ვილით, რომ მშობლიური კუთხე გულთბილად მიგვიღებს. საბედნიეროდ, მოლოდინი გაგვიმართლდა. ახლობელ—ნათესავებმა, ყველამ შეგვიმსუბუქეს დარდი, მეორე აჭარა ლეჩხუმი აღმოჩნდა, აქაც აკაკი პირველის თაოსნობით.

პიმენ ლეთოდიანი.

მადლობის მეტი რა გვექმის, მაგრამ...

ენით ვერ აღვწერთ და კალმით ვერ დავწერთ იმ მძიმე დღეებს, რაც აფხაზეთში მცხოვრებმა ქართველებმა იმ საშინელ უსამართლო ომში გამოვიარეთ. სეპარატისტმა აფხაზებმა, დაქირავებულმა რუსებმა, ჩეჩნებმა თუ კაზაკებმა რაც აფხაზეთი აიღეს და ჩვენი კარ—მიდამოდან გამოგვდევნეს, ისევ ჩვენი მიწა—წყლის ხალხს, ადგილის დედას, ნაცნობ—მეგობრებს და ახლობელ—ნათესავებს მოვაშურეთ. იმ საშინელ ულელტეხილზე გადმოსვლის შემდეგ მოვაღწიეთ ცაგერში. შვება ვიგრძენით, როცა ყველა თბილად და ტკბილად შეგვხვდა, გულში ჩაგვიკრა და ჩვენი ჭირ—ვარამი გაიზიარა.

მადლობას ვუხდით ყველას, ვინც დახმარების ხელი გამოგვიწოდა, მართალია, ჯერჯეროვით სახელმწიფოსაგან არავითარი დახმარება არ მიგვიღია, მაგრამ იმედი გვაქვს არც ისინი დაგვივიწყებენ. ჩვენ, ცაგერის სასტუმროსა თუ ბაგა—ბაღში მცხოვრებნი დიდ მადლობას ვუხდით ცაგერის რაიონის ყველა წარმოება—დაწესებულებასა და ყველა ოჯახს იმ დიდი ყურადღებისათვის, რასაც ისინი ჩვენს მიმართ იჩენენ. თუ ვიცოცხლეთ, რა დაგვავიწყებს სასტუმროს მომსახურე პერსონალისა და აქვე, ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ, ბრიშა ხაბულიანისა და ამალია ვაწაძის ოჯახის მიერ გაღებულ სიკეთეს, თავს დაგვტრიალებენ ახლობელ—ნათესავები—ანზორ ბუგაევას, ბრიშა, გელა, ლადო ხაბულიანების, ნიკო თუთისანის, ცაცა მელაძის ოჯახები.

მადლობა მინდა გადავუხადო ცაგერის ღვინის საწარმოს ხელმძღვანელს მურმან ბუგაევას, რომელმაც ჩემს მეუღლეს შესაფერისი სამუშაოც კი გამოუნახა. ჯ. მიქაძემ პროფტექნიკური სასწავლებლის საერთო საცხოვრებლის შენობაში საცხოვრებელი ოთახები შეგვირჩია.

ალბათ დადგება დრო, როცა დაჩოქილი საქართველო ფეხზე წამოდგება, დავუბრუნდებით უცხო ტომელების მიერ დაკავებულ ჩვენს მიწა—წყალს, აღვადგენთ დამწვარ—დანგრეულ ჩვენს სახლ—კარს, ამას მივაღწევთ ისევ იმ ხალხის და ადამიანების დახმარებით, რომლებიც დღეს გვეხმარებიან და ჩვენი სიცოცხლის შენარჩუნებისა და გადარჩენისათვის ყველაფერს აკეთებენ. ამ ერთი კვირის წინ დახმარების ხელი გამოგვიწოდა წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებამ, ყოველ ხუთ კაცზე განაწილდა სხვადასხვა სახის სურსათით სავსე ამანათი.

ერთი სათხოვარი გვაქვს ყველასადმი: გზაზე, ქუჩაში, სახლში თუ კარში სად ბინდა გაიარო და „ლტოლვილებო“ არ გაიგონო, ჩვენ ისედაც განაწამებ და ნატანჯ, სახლ—კარ დაკარგულ ხალხს ნუ გვიწოდებთ ლტოლვილებს—ეს სიტყვა ტყვიასავით ხვდება ისედაც დამძიმებულ, ლტოლვილ გულს. ანდა რაც ცუდი მოხდება, ამ ეგრეთწოდებულ „ლტოლვილებს“ ნუ დააბრალებთ.

აქვე კიდევ ერთი თხოვნაც გვაქვს რაიონის საკრებულოს გამგებელთან—კვირაში ერთხელ მაინც გამოგვიყონ სპეციალური ავტობუსი დროებით გადაადგილებულთათვის, რომელიც იმოძრავებს მარშრუტით—ცაგერი—წყალტუბო—ქუთაისი.

ლ. კოპალიანი—ლომთაძე, პედაგოგი, სოფ. კელასური.

მოსახლეობის საყურადღებოდ!

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 7 ნოემბრის დადგენილების თანახმად, მიმდინარე წლის პირველი დეკემბრიდან განზოგადოებული სექტორის მიერ მოხმარებული ელექტრო ენერგიის 1 კილოვატის ღირებულება 600 კუპონია, ხოლო მოსახლეობაში განათებასა და საოჯახო მოხმარებაზე—100 კუპონი. თუ კი მოსახლეობა ელექტროენერგიას გამოიყენებს გათბობისათვის, სხვადასხვა კომერციულ მოხმარებაზე, გადახდება 600 კუპონი.

ენერგოზედამხედველობისა და კომერციის ქუთაისის საწარმოს ცაგერის უბანი.

მეცხოველეობა

დარგი სასიცოცხლო, დარგი მივიწყებული

მძიმე დღეები უდგას დღეს რესპუბლიკას, თითოეულ რაიონს თუ ქალაქს. მოსახლეობა შიმშილობს, არ იშოვება კვების პროდუქტები. ბაზრებში თუ რაიმე გამოჩნდა, ყველაფერს ცეცხლი უკიდია, მშრომელი კაცის-აგან მისი შეძენა შეუძლებელია. ქართული კუპონის ფასი ყოველდღე კი არა, ყოველ საათში ეცემა. ადამიანები სასოწარკვეთილებაში არიან ჩავარდნილი.

რესპუბლიკის დიდი ყალაქების ბაზრებს რომ თავი დავანებოთ, ცაგერის ბაზრის თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია იმისთვის, რომ დარწმუნდე მშრომელ ადამიანს იქ არ შეეცვლება, ისეთი ფასებია ყველაფერზე, ფასები ყოველდღიურად მატულობს. თუ 1 დეკემბრისთვის საქონლის ხორცი 30 ათასი კუპონი ღირდა, 8 დეკემბრისთვის 50 ათას კუპონამდე ავიდა. გაზეთის გამოსვლის დღისაკის კი რა ეღირება, ძნელი სათქმელია. ყველს თუ იშოვი, 60 ათას კუპონზე ნაკლებად არავინ მოგვცემს, ხოლო გოჭისა და კვერცხის ფასები ასტრონომიულია.

დღეს საზოგადოების ყველა ნაწილში ამაზეა მსჯელობა, დავა, რატომ მოხდა ეს, რა არის მიზეზი, ქართული კუპონის გაუფასურება თუ სხვა რამ. მაგრამ ყველა ადამიანს შეუძლია გააკეთოს დასკვნა, რომ ყველაფრის მიზეზი წარმოების შემცირება კი არა, უეიძლება ითქვას, განადგურებაა, ამას თვით ფაქტები ადასტურებს.

1993 წლის 1 იანვრისათვის რაიონში იყო 12807 სული მსხვილფეხა პირუტყვი, აქედან საზოგადოებრივ მეურნეობებში 2810 სული, კერძო სექტორში 10017 სული, ღორი—სულ 7240 სული, აქედან საზოგადოებრივ მეურნეობებში 278 სული, კერძო სექტორში—6962 სული. ცხვარ სულ 1282 სული, საზოგადოებრივ სექტორში 503 სული, კერძო სექტორში—779 სული. მაგრამ პირველი კვარტლის გოლოსათვის უკვე მთლიანად გაუქმდა საზოგადოებრივი სექტორი და მისი მეცხოველეობაც. სამწუხაროა ის არის, რომ აღნიშნული სულადობა

რაც მოველოდით კერძო სექტორში კი არ გადავიდა მთლიანად, არამედ ნაწილი ხორცის გადამამუშავებელ საწარმოებს ჩაბარდა, ნაწილი ადგილზე დაიკლა—გაიყიდა და ამდენად ცხოველთა რაოდენობა შემცირდა.

ახლა ადამიანები ნოსტალგიაში არიან ჩავარდნილი და იგონებენ თუ რამდენი ხორცი, ყველი თუ კვერცხი იყიდებოდა, რა იაფი იყო იგი კერძო ბაზარზე თუ სახელმწიფო მაღაზიაში. ისინი მართალი არიან, მეცხოველეობის პროდუქტებს მეცხოველეობა იძლევა, გავანად გურეთ ფერმები და ალარც პროდუქცია გვაქვს.

ამის საილუსტრაციოდ მარტო ერთი წელიც კმარა, 1985 წელს 1 იანვრისათვის რაიონში იყო მსხვილფეხა პირუტყვი 16289 სული, აქედან საზოგადოებრივ სექტორში 6324 სული, კერძო სექტორში 9965 სული, ღორი სულ —19007 სული, საზოგადოებრივ სექტორში—3971 სული, კერძო სექტორში—15036, თხა სულ 3039 სული, საზოგადოებრივ სექტორში 1046 სული, კერძო სექტორში 1993.

1985 წელს სახელმწიფოს მიეყიდა 816 ტონა ხორცი, 1028 ტონა რძე, 1,129600 ცალი კვერცხი, 21,8 ტონა აბრეშუმის პარკი.

სამწუხაროდ, როდესაც საზოგადოებრივ სექტორს და მას მეცხოველეობას ვაუქმებთ, ბევრს ეგონა, რომ ცხოველთა ეს რაოდენობა კერძო სექტორში გადავიდოდა და პროდუქციაც მეტი გვექნებოდა, ასე არ მოხდა, ზოგ დარგში პირიქით შემცირდა. 1993 წლის 1 იანვრისათვის კერძო სექტორში 1985 წლის პირველი იანვრის მონაცემებთან შედარებით მსხვილფეხა პირუტყვის რაოდენობა გაზრდილია მხოლოდ 52 სულით, ხოლო ამავე მონაცემებით ღორის სულადობა კერძო სექტორში შემცირებულია 8074 სულით.

კერძო სექტორში მეცხოველეობის, განსაკუთრებით ღორის სულადობის შემცირება გამოიწვია საკვები ბაზის შემცირებამ, მისმა სიძვირემ, თუ სადმე გამოჩნდება ერთი კილოგრამი კომბინირებული საკვები 3000 კუპონად იყიდება, ერთი კონა ჩალის ფასი 5 ათას კუპონზე მეტია, ამიტომ გლეხიც იძულებულია შეამციროს სულადობა, გააძვიროს პროდუქცია.

ყველამ იცის, რომ ეს მდგომარეობა მარტო ჩვენი რაიონისათვის არ არის დამახასიათებელი, იგი მთელი რესპუბლიკის სატკივარია. ვიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში შემორჩენილი იყო მხოლოდ 142 ათასი სული მსხვილფეხა პირუტყვი, აქედან ფური მხოლოდ 56 ათასი სული, ღორის სულადობამ შეადგინა 65 ათასი, ცხვრისამ—455 ათასი, ხოლო ფრინველის რაოდენობამ 2,3 მილიონი ფრთა. იმავე 1 ოქტომბრისათვის საზოგადოებრივ მეურნეობებში ხორცის წარმოებამ მხოლოდ 12 ათასი ტონა შეადგინა. რძისამ—36 ათასი ტონა, ერთი ფურის წველადობამ საშუალოდ 514 კილოგრამს მიაღწია, ხოლო ერთი მოქცეულის კვერცხდებლობამ 56 ცალს, ს

მილოცავთ!

ნანა შაუბულიანს, ნუკრი ქურასბედიანს
გილოცავთ ბედნიერებას, შეგექმნათ ფუძემყარი ოჯახი.
თეა, ფიქრია კაკრიაშვილები.

ხათუნა ირაკლის ასულ ტვილდიანს
სპარტაკ ჯიმშერის ძე ტვილდიანს
გილოცავთ ბედნიერებას. ღმერთმა სიხარული ნუ მოგაკლოთ.
ლამარა და ირაკლი ტვილდიანები.

ქეთინო ლიპარტელიანს, ანზორ გვიშიანს
გილოცავთ ბედნიერებას.
ნინო, კახა, ირაკლი, ალუდა.

ქეთინო ლიპარტელიანს, ანზორ გვიშიანს
გილოცავთ ბედნიერებას.
ლალი ნემსწვერიძე.

ქეთინო ლიპარტელიანს, ანზორ გვიშიანს
გილოცავთ ბედნიერებას.
ლაშა ბურჯალიანი ოჯახით.

ქეთინო ლიპარტელიანს, ანზორ გვიშიანს
გილოცავთ ბედნიერებას, იხარეთ და იმრავლეთ.
რუბენ დავითულიანი, ნუგზარ მამარდაშვილი ოჯახებით.

ლოლა, შალვა ომანაძეებს
გილოცავთ როლანდის ფიზიკა—მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის დაცვას. გფარავდეთ მალალი ღმერთი.
ანზორ მუშკუდიანი ოჯახით.

ქეთი ბოგოხიძეს
ლატავრა მუშკუდიანს
გილოცავთ დაბადების დღეს. გფარავდეთ მაღალი ღმერთი.
ეკა გვიშიანი, ნინო კოპალიანი.

მაია სოსოს ასულ სილაგაძეს
გილოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს.
ნათია ტვილდიანი.

ელისო გრიგოლის ასულ სალინაძეს
გილოცავთ დაბადების დღეს. სიხარულითა და ქალვაჟების ურიამულში გაგთენებოდეთ ყოველი წლის დაბადების დღე.
ფიქრია, პაატა ნიკოლაძეები, სოფო, კახა მუშკუდიანები, ეკა სალინაძე.

ირმა უჩას ასულ ლიპარტელიანს
გილოცავ დის ბედნიერებას.
ნინო, კახა, ირაკლი, ალუდა.

ჩიტო ჩაკვეტაძეს
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.
ნათელა ყურაშვილი, გულო მეშველიანი.

თამრიკო იმედაძეს, მუხრან ბერიძეს
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.
ცაგერის სამხედრო კომისარიატის თანამშრომლები.

სოფო, სოსო მუშკუდიანებს
გილოცავთ ტყუპი ქალიშვილების შეძენას.
ლაშა ბურჯალიანი ოჯახით.

მაგული გოლეთიანს
გილოცავთ ნინოს ბედნიერებას.
ბორის ჭაბუკიანი ოჯახით.

ციცინო გვიშიანს
გილოცავთ ტყუპი დისშვილების შეძენას. გაზრდილიყონ სასახელო ქალები.
შემნახველი ბანკის თანამშრომლები.

კაპიტო ჩიქოვანს
გილოცავთ შვილიშვილის შეძენას.
კავშირგაბმულობის თანამშრომლები.

მარიკა დოლბაიას, პაატა კოპალიანს
გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას.
კავშირგაბმულობის თანამშრომლები.

ხსოვნა

მაყვალა მანდარია — ბოხუა

ერთი წელი დასრულდა ამ ზაფხულს, 25 აგვისტოს, რაც შენ ჩვენთან აღარა ხარ მაყვალა, გვენატრები და საოცრად გვენანები მიწისთვის. 36 წლისა გახდებოდი 5 დეკემბერს. წელს უკვე მეორედ მოვიდა შენი დაბადების დღე უშენოდ. ყოველგვარი სიხარულის გრძნობა ჩაგვიკლა შენი დაკარგვით გამოწვეულმა სევდამ და მწუხარებამ. გზაზე დატრიალებულმა ტრაგედიამ ლაძგვერიის ხიდთან დაასრულა შენი ლამაზი, ჯანღონით სავსე სიცოცხლე. დედულეთში, საზაფხულოდ დატოვებულ შვილთან მიიჩქაროდი, დედ—მამისა და რძალ—ძმის, ძმისშვილების ნახვა გეწადა, მაგრამ არ დაგცალდა. გურანდასაც მოესკო დედის ნახვის სიხარული, აბაშის სოფელ მარანში, სახლში ჩამოსვლისას, შენს 6 წლის გოგონას დედის გაციებული ცხედარი დახვდა.

შენი სუნთქვა ისევ ისმის შენს ლამაზ და ბარაქით სავსე კარ—მიდამოში. დედის დაკარგვით გამოწვეული ნაღველი და სევდა ჩასდგომიათ თვალებში შენს პირველკლასელ გურანდას და მესამეკლასელ გურამის, რომლებსაც არასდროს მოაკლდებათ დედულეთის სითბო და ყურადღება.

იძინე შვილო და დაო, მშვიდად, ღმერთმა ნათელი ნუ მოაკლოს იმ წმინდა საფლავს, სადაც შენ განისვენებ.

დედ—მამა, და—ძმები ოჯახებით.

შვილები იზოლდა, ნათელა, ჟენია, ნინელი, სიძეები ანზორ მუშკუდიანი, ლერი ხუხია, გოგი გოლეთიანი, ამირან კვირკაშვილი, ილია ილურიძე, შვილიშვილები ნინო, ნანა, მარინე, ირინე, ლაშა, ლელა, ლანა ლიკა, ვია, შვილთაშვილები ირაკლი, ლაშა, რძლები ნინა, მარო თვარაძეები, ძმისშვილები, მულისშვილები, მაზლისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
თინა იაკობის ასული თვარაძე—ბოგოხიძე
დაკრძალვა 26 დეკემბერს, კვირას, ქ. ცაგერში.

ვენადი, ლალი კვირკაშვილები თანაუგრძნობენ ნინო, ამირან კვირკაშვილებს ბებიის
თინა ბოგოხიძის
გარდაცვალების გამო.

დათო მანდილო სალინაძეები თანაუგრძნობენ ჭირისუფალს
ლიდა მამარდაშვილის
გარდაცვალების გამო.

ლოლა ჩაკვეტაძე, პავლე ბაკურაძე, გრიშა ახვლედიანი, ამირან ასათიანი, ნოდარ, შალვა, ალექსანდრე ცვარიანები, ლევან ჩიქოვანი, გრიშა ხმელიძე თანაუგრძნობენ მიშა, ლოლა ბერიძეებს
გოგუცა ბერიძის
გარდაცვალების გამო.

ტვიშის საექიმო ამბულატორიისა და აფთიაქის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნონა მათეს ასულ ასათიანს დედის
ანიჩკა სანდროს ასული ახვლედიანი—სვანიძის
გარდაცვალების გამო.

რეზო ჩხეტიანი, ლენორა გიორგობიანი, მერი, კაკო, ჯემალ ხეცურიანები, გრიშა ნემსწვერიძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ბიჭიკო და თათარო ნემსწვერიძეებს მეუღლისა და ბიძაშვილის
ნორას
გარდაცვალების გამო.

შვილები დათო ნუნუ, ძმა ვალოდია, და დოდო, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ვლადიმერ ათანასეს ძე ახვლედიანი.

მარიამ გამსახურდია ოჯახით იუწყება
ანიკო ცხვედიანის
გარდაცვალებას.

ცაგერის სახელმწიფო სატყეო მეურნეობის თანამშრომლები თანაუგრძნობენ რეზო სალინაძეს დედის
თამარის
გარდაცვალების გამო.

როზეტა ქვარიანი ოჯახით თანაუგრძნობს ნონა და ვალერი ასათიანებს დედისა და ბებიის
ანიჩკა სვანიძის
გარდაცვალების გამო.

ნაპოლეონ სილაგაძე, გივი ბენდელიანი, დიტო ლაჭყეპიანი, ლეო ყურაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
კოლია ასათიანი

სანეპიდსადგურის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბაქტლაბორანტი
თინა იაკობის ასული ბოგოხიძე.

როზეტა ქვარიანი, არდევან გაბიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალნენ
რამზინ ნემსწვერიძე
და
კოლია ასათიანი

რაიონის პოლიციისა და საკუთრების დაცვის პოლიციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლევან ბერიძეს მამიდის
გოგუცას
გარდაცვალების გამო.

№2 ბაგა—ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ იზო გოგოხიძეს დედის
თინა ბოგოხიძის
გარდაცვალების გამო.

დათო ხეცურიანი, ჯუმბერ ცვარიანი, ზაურ, სერაპიონ, მიშა, გოჩა ახვლედიანები, გელა მამარდაშვილი, ლეილა ფუტკარაძე, ბუჭუ ბენდელიანი, გივი ნემსაძე, შადიმან დავითულიანი, ჟორა სილაგაძე, გივი ქომეთიანი თანაუგრძნობენ იზო კოპალიანს დედის
თინა ბოგოხიძის
გარდაცვალების გამო.

რაისაავადმყოფოს თერაპიული განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ თამრიკო, ვილგემ კოპალიანებს სიძის
რამაზ ლოფსანიძის
გარდაცვალების გამო.

სამამულო ომის ვეტერანები გერონტი ჭაბუკიანი, თენგიზ კობერიძე, აკაკი კანაჩაძე, ვლადიმერ ბრეგვაძე, ანდრო ჭაბუკიანი, გიორგი ახვლედიანი, შოთა, ვალიკო მუშკუდიანები, არჩილ ხეცურიანი, ალექსანდრე მუშკუდიანი, ვასილ სვანიძე, შოთა ხვადაგიანი, ალექსანდრე მუშკუდიანი, გრიგოლ ცხვედიანი, ვლადიმერ ჭაბუკიანი იუწყებიან თანამებრძოლის
ვლადიმერ ახვლედიანის
გარდაცვალებას.

ნინო მურცხვალაძე, რუსიკო ხაბულიანი, გელა დავითულიანი, ფაცა სალინაძე, იამზე კოპალიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
თინა იაკობის ასული ბოგოხიძე.

ავთო ბენიძე ოჯახით თანაუგრძნობს იზო ბოგოხიძეს, ნინო, ნანა კოპალიანებს
თინა ბოგოხიძის
გარდაცვალების გამო.

ზაირა, გურამ ყურაშვილები, მზია ახვლედიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ჟენია ბოგოხიძეს დედის
თინა ბოგოხიძის
გარდაცვალების გამო.

დამფუძნებელი—რედაქციის კოლექტივი

რედაქტორი ნ. ნემსაძე.

გაზეთი მუშაობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თვად აგებენ პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე.

რედაქციის მისამართია: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №56, ტელეფონი 22—81.

შეკვეთა №86 ტირაჟი 1856

ცაგერის რაიონული სტამბა